დამტკიცებულია შპს თაობის

დირექტორის მიერ

04.09.2023 წ. № 01-04/17 ბრძანებით

შპს თაობა

სტრატეგიული განვითარების გეგმა

(2023-2030)

ავტორები:

თორნიკე ზაქარაძე

სკოლა თაობის, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის წევრი.

ირაკლი მიქელაძე

სკოლა თაობის, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის წევრი.

ბათუმი, 2023

შესავალი

სკოლა თაობის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს (ფილოსოფიას). გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს. შესრულების გაზომვად ინდიკატორებს და შიდა თუ გარე ფაქტორებზე დამოკიდებულ რისკებს.

სკოლა „თაობა'' განსხვავდება სხვა სკოლებისაგან როგორც რესურსებით (იქნება ეს ადამიანური, ინფრასტრუქტურული თუ ფინანსური რესურსი), ასევე საკუთარი ინსტიტუციური მეხსიერებით, სასკოლო კულტურით, შესაძლებლობებითა და გამოწვევებით. შესაბამისად, ჩვენი სკოლის მოქმედების არეალიც და ხედვებიც განსხვავებულია.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ სწავლის პროცესი შეუძლებელია საზოგადოებრივი გამოწვევებისაგან ცალკე იდგეს და არ ემსახურებოდეს მათ გადაჭრას. ამ დოკუმენტის საშუალებით, სკოლა თაობა გიზიარებთ მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის გამოკვეთილ სკოლის ავთენტურ ''გზას'', რომელშიც გათვალისწინებულია ჩვენი სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, ინტერესები და მოლოდინები.

სკოლის მისიის, ხედვის რეალიზების გზაზე საკვანძო მნიშვნელობა აქვს „ჩვენ'' მოცემულობას, პროცესებში ჩართვის სურვილს და შესაძლებლობას. სკოლის მიერ დეკლარირებული ღირებულებები აყალიბებს ამ განცდას და საზოგადოებას უქმნის სწორ მოლოდინებს.

სტრატეგიული განვითარების გეგმა სამი მიმართულებისაგან შედგება:

პირველი მიმართულება „სკოლის ინსტიტუციური მდგარდობის და ეფექტურობის უზრუნველყოფა'' - ამთლიანებს ისეთი ამოცანების გადაჭრას, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მოქნილ ორგანიზაციულ მოწყობას, მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის განვითარებას საგანმანათებლო პროცესის ეფექტური ფუნქციონირებისთვის. სასკოლო კულტურის იმგვარ განვითარებას, სადაც გამოკვეთება საერთო ამოცანები, რომელიც გადაიჭრება გუნდური მუშაობის პრინციპით ნაცვლად შეჯიბრებითობისა, რაც განაპირობებს მასწავლებელთა და სკოლის პერსონალის შინაგანი მოტივაციის ზრდას, ტრანსფორმაციული ლიდერების გამოკვეთას, მასწავლებელთა ინიციატივების მხარდაჭერესა და წახალისებას.

სკოლის ინსტიტუციური მდგრადობისთვის საკვანძოა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების რეალური მონაწილეობის და ჩართულობის უზრუნველყოფა. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების თანამშრომლობას. სადაც ურთიერთობა დაეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას. ეს უზრუნველყოფს სკოლის ერთიან გუნდად, ისეთ ორგანიზაციად გადაქცევას, რომელიც საკუთარ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს იკვლევს დასახულ მიზნებთან მიმართებით.

სკოლის პროცესებში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად, როგორც წესი, მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის/თანამშრომლის ჩართულობა, არამედ იმ გუნდის სრულად, რომელსაც სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს პროცესებს. განსხვავებულად აფასებენ და მათი გადაჭრის განსხვავებულ გზას ხედავენ. თანამშრომლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად მოსწვალეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. აღნიშნული ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია, იმ შემთხვევაში როდესაც სკოლაში შეხვედრებს ნაცვლად მონოტონური, პასიური ხასიათიას, აქვს თანამშრომლობითი შემოქმედებითი, ინტენსიური ხასიათი. როდესაც დაგეგმვის და განხორციელების პროცესში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება.

სკოლის ინსტიტუციური მდგრადობის და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მაღალი სტანდარტის შიდა ხარისხის მექანიზმის დანერგვა, რომლის საქმიანობაც დაეფუძნება პროცესულ მიდგომას, მხარდაჭერას. სკოლის თითოეული პროცესის (მმართველობითი, ძირითადი, დამხმარე) განხორციელებაზე მონაცემები მოგროვდება და გაანალიზდება მრავალ წყაროზე დაყრდნობით მრავალფეროვანი მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული უზრუნველყოფს პროცესების მთლიანობითად აღქმას, გამუჯობესებას და საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე დაფუძნებას.

სკოლის მდგრადობის და ეფექტურობისთვის საჭიროა ერთი მხრივ „მოსწავლე სუბიექტის'' პარადიგმაზე საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება. ეს უზრუნველყოფს სკოლის დადებით იმიჯს და მაღალ ცნობადობას. და მეორე მხრივ გამართული სასწავლო პროცესის, ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

მეორე მიმართულება „პროცესზე ორიენტირებული კურიკულუმის განვითარება'' - ამთლიანებს ისეთი ამოცანების გადაჭრას, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში, მოსწავლეებისთვის ნაცნობ/საინტერესო შინაარსობრივ კონტექსტში ცნებების გააზრებით/მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებით და ფუნქციური უნარების განვითარების ხელშეწყობით,ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების „გზას''. უზრუნველყოფს შუალედური მიზნების მიღწევას შემოქმედებით დავალებებზე (კეთებით სწავლება) მუშაობით. უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ხარისხის მართვას, შეფასების კრიტერიუმების, მოსწავლეთა შედეგების მონაცემების შეგროვების/ანალიზის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული არგუმენტირებული გადაწყვეტილებების მიღების გზით და მოსწავლეთა შედეგების ანალიზის მათი საჭიროებების, მზაობის და ინტერესების გათვალისწინებით შევიმუშავებთ/განვაახლებთ და დავნერგავთ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ სასწავლო პროგრამებს. აღნიშნული ამოცანების გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო პროცესის ცნებების შინაარსის გააზრებაზე ორიენტირებით, კონსტრუქტივიზმის საგანმანათლებლო პრინციპების დაცვით განხორციელებით, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას, ცოდნის ეტაპობრივად აგებას წინა ცოდნაზე დაფუძნებით, ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის შეძენას, სწავლის სტრატეგიების დაუფლებას. პროცესზე ორიენტირებული კურიკულუმის განსავითარებლად საკვანძოა სასწავლო პროცესის პოზიტიურ გარემოში განხორციელება რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად, მათი შესაძელბელობების და ინტერესების მიხედვით წარმართვა და შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკაში მოცემული კრიტერიუმების ანალიზის საფუძველზე მოსწავლეებზე ზეპირი და წერილობითი განმავითარებელ უკუკავშირის მიცემას(დიფერენცირების გამოკვეთის შესაძლებლობა, მოსწავლეთა ინდივიდუალური მზაობის დადგენა). მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მიღწევებზე მონაცემების მოგროვება ანალიზი (შემოქმედებითი დავალების შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით), მასწავლებლის რეფლექსია - წარმატებული გამოცდილების და გამოწვევების ანალიზი და აღნიშნულის გაერთიანებულ სამუშაო შეხვედრებზე გაზიარება.

მესამე მიმართულება „ მოსწავლეთა სოციალიზაცია და ინდივიდუალიზმის, დამოუკიდებლობის ხელშეწყობა (სუბიექტივიზაცია)'' - ამთლიანებს ისეთი ამოცანების გადაჭრას, რომელიც მიემართება მოსწავლეთა სოციო-ემოციური განვითარების ხელშეწყობას. ამისათვის საკვანძოა დამრიგებლის და ფსიქოლოგის საქმიანობის მოსწავლეთა საჭიროებების და გამოწვევების შესაბამისად წარმართვა. ესე იგი მოსწავლეების/კლასის საჭიროებებზე/გამოწვევებზე მონაცემების მოგროვება და ანალიზი. გაანალიზებული მონაცემების საფუძველზე შესაბამისი აქტივობების (პრევენციის და ინტერვენციის ღონისძიებების)განხორციელება. სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების) კონსულტირება. ისეთი აქტივობების, მექანიზმების შემუშავება რაც მოსწავლეებში აამაღლებს საკუთარი თავის რწმენას და ხელს შეუწყობს ადაპტაციას.

მოსწავლეთა სოციალიზაციის და დამოუკიდებლობის ხელშეწყობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სკოლის თვითმმართველობის განვითარებას, რათა მოსწავლეებს მივცეთ შესაძლებლობა იკვლიონ საკუთარი საჭიროებები, ინტერესები, მიღწევები, პრობლემები დასახულ მიზნებთან მიმართებით და ამის საფუძველზე დაგეგმონ/განახორციელონ კონკრეტული აქტივობები. ეს ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის დამოუკიდებელ, აქტიურ და პასუხისმგებლიან ინდივიდად ჩამოყალიბებას, რომელიც იზრუნებს როგორც საკუთარი პიროვნების ასევე თემის/საზოგადოების განვითარებაზე.

მისია, ხედვა, ღირებულებები

მისია: *„ჩვენ გვჯერა, რომ მხოლოდ საკუთარი პიროვნების თავისუფლად განვითარება განაპირობებს მოსწავლის ბედნიერებას და წარმატებას, შესაბამისად მზად ვართ ვაქციოთ სწავლა მოსწავლისთვის საინტერესო პროცესად, გარემოში სადაც ყველა მიღებული და დაფასებულია, სადაც მოსწავლე შეძლებს იპოვოს საკუთარი თავი"*

ხედვა: *ჩვენი გამორჩეული კომპეტენცია - დავაფუძნოთ სასწავლო პროცესი მოსწავლე სუბიექტის პარადიგამზე - "2030 წლისთვის დაგვიმკვიდრებს ადგილს საქართველოს საუკეთესო 10 სკოლას შორის".*

ღირებულებები:

- ***თანასწორობის დაცვა*** *- რაც გულისხმობს სკოლის ყველა მოსწავლის, მასწავლებლის და თანამშრომლის განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფას.*
- ***გუნდური მუშაობა*** *- რაც გულისხმობს სკოლისადმი ერთგულების და თანაშემოქმედებითობის განცდის გაძლიერებას და ხელშეწყობას.*
- ***პროფესიონალიზმი*** *- რაც გულისხმობს გაზიარებულ პასუხისმგებლობას სკოლის ეფექტიანობაზე, დასახული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მიღწევასა და რეალიზებაზე.*
- ***ღიაობა*** *- რაც გულისხმობს გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. ასევე მონაწილეობას, რომელიც ქმნის პროცესების გაუმჯობესების საფუძველს და ანგარიშვალდებულებას, რომელიც სკოლას და სასკოლო საზოგადოებას აქვთ ერთმანეთის მიმართ და შედეგებთან მიმართებით.*

სტრატეგიული მიზანი	ამოცანა	ინდიკატორი	რისკები[1]
№1: სკოლის ინსტიტუციური მდგრადობის და ეფექტურობის უზრუნველყოფა.	**1.1:** უზრუნველყოფილია სკოლის საჭიროებებზე მორგებული ორგანიზაციული მოწყობა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების შესაძლებლობა.	• სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული; • სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას; • სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მიემართება მისიას, ხედვას და თავსებადია სკოლის ღირებულებებთან; • სკოლა ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას. ყოველი ახალი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის თვითშეფასებას და სტრატეგიულ გეგმას.	საშუალო რისკ ფაქტორი - 2 ქულა: ფუნქციების და პასუხისმგებლობების არათანმიმდევრული და შეუსაბამო დელეგირება და განაწილება.
	1.2: სკოლის მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სკოლის განვითარებასა და ეფექტურ ფუნქციონირებას.	• სკოლაში უზრუნველყოფილია საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი მაღალი სტანდარტის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი; • სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის; • სკოლაში უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა საჭიროების და ინტერესების მიხედვით;	საშუალო რისკ ფაქტორი - 2 ქულა: ბიბლიოთეკის არაეფექტური ფუნქციონირება. სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვის ხელშეშლა, გამოწვეული არათანმიმდევრული დახმარებით. სკოლის IT ინფრასტრუქტურის შესაძლებლობების მაქსიმალური ვერგამოყენება,

[1] რისკები ფასდება 4 ქულიანი შკალით, სადაც: 1 ქულა - დაბალი რისკ-ფაქტორი; 2 ქულა - საშუალო რისკ-ფატორი; 3 ქულა - მაღალი რისკ-ფაქტორი; 4 ქულა - კრიტიკული რისკ ფაქტორი

		• სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; • სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის.	ან IT ინფრასტრუქტურის არასათანადო მოვლა/პატრონობა.
	1.3: უზრუნველყოფილია პოსტფორდისტული[2] მიდგომა, სკოლა ორიენტირდება მასწავლებლების და სკოლის სხვა პერსონალის შინაგანი მოტივაციის ზრდაზე, ჰორიზონტალურ ურთიერთობებსა და მხარდაჭერაზე.	• პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; • სკოლა აქვს თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მექანიზმები; • წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. • ყოველწლიურად არსებობს არანაკლებ 2 მასწავლებელის წარმატებული ქეისი პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით.	მაღალი რისკ ფაქტორი - 3 ქულა: სასწავლო პროცესის ვერ განტვირთვა ფორმალისტური ვალდებულებებით. საკვანძო საკითხებთან მიმართებით გადაწყვეტილებების ვიწრო წრეში მიღება. ამოცანების აღსრულების დაბალი პასუხისმგებლობა.
	1.4: უზრუნველყოფილია გადაწყვეტილებების მიიღება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, გადაწყვეტილების მიღების მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპის გამოყენებით.	• უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა. • სკოლაში განვითარების დინამიკა განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გათალისწინებით;	მაღალი რისკ ფაქტორი - 3 ქულა: სასკოლო საზოგადოების (მშობლების) არათანმიმდევრულობა, ზედაპირულობა, მისიის, მიზნების შეუსაბამო მოთხოვნები. (მაგ: დამატებითი ცეკვის წრე და ა.შ)

[2] მიდგომა, რომლის დროსაც ორიენტირება ხდება სასკოლო სასკოლო საზოგადოების შინაგან და არა გარეგან მოტივაციაზე, ჰორიზონტალურ ურთიერთობაზე და არა მკაცრ ცენტრალიზებულ მიდგომაზე, ორიენტირება მხარდაჭერაზე და არა დასჯა-წახალისებაზე, ორიენტირება ურთიერთდახმარებაზე და არა საზოგადოების წევრების კონკურენციაზე.

	1.5 სკოლაში დანერგილია მაღალი სტანდარტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა.	• სკოლის ხარისხის ჯგუფის საქმიანობა დაფუძნებულია პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლზე; • უზრუნველყოფილია მონაცემების შეგროვება(მონიტორინგი) სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით; • ხარისხის ჯგუფის მიერ გაანალიზებულია მონაცმემები და განსაზღვრულია საჭიროებები.	საშუალო რისკ ფაქტორი - 2 ქულა: მცირე ჯგუფი ბევრი პასუხისმგებლობით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გადატვირთვა და ნაკლებ ეფექტურობა.
	1.6 სკოლას გააჩნია საზოგადოებაში მაღალი ცნობადობა და დადებითი იმიჯი.	• შემუშავებულია PR განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც მიემართება სკოლის მისიას/ხედვას და თავსებადია სკოლის ღირებულებებთან; • სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციას მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხების საშუალებით • სკოლა უზრუნველყოფს მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; • საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;	მაღალი რისკ ფაქტორი - 3 ქულა: სკოლა აქვს დადებითი იმიჯი, მაგრამ მისი ცნობადობა სასურველია იყოს მეტი. ესე იგი რისკია მაღალი ცნობადობის არ ქონა. რაც შეიძლება გამოწვეულ იყოს PR განვითარების არათანმიმდევრული სტრატეგიით, არაეფექტური PR გეგმით (გეგმის არ ქონით). ზედაპირული აქცენტებით.
	1.7 უზრუნველყოფილია გამართული სასწავლო პროცესი, კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოება, ფსიქოლოგიურად, ემოციურად	• სკოლაში არსებობს მოსწავლეთა დასწრების/გაცდენების მონიტრინგის მექანიზმი;	დაბალი რისკ ფაქტორი - 1 ქულა: შესაძლებელია უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა აღქმულ იყოს როგორც მხოლოდ

	უსაფრთხო გარემო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.	• სკოლაში საქმისწარმოება აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს; • სკოლას აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები და მეთოდოლოგია; • სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს; • სკოლას აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი; • სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.	ფსიქოლოგის, ექთნის, ან ადმინისტრაციის მოვალეობა.
№2: პროცესზე ორიენტირებული კურიკულუმის განვითარება.	**2.1:** უზრუნველყოფილია სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მოსწავლეებისთვის ნაცნობ/საინტერესო შინაარსობრივ კონტექსტში ცნებების გააზრებით/მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებით და ფუნქციური უნარების განვითარების ხელშეწყობით, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების „გზა''.	• შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; • კურიკულუმი მიემართება ცნებების გააზრებასა და ფუნქციური უნარების განვითარებას; • კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, მიემართება მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	საშუალო რისკ ფაქტორი - 2 ქულა: შესაძლოა საგნობრივი კურიკულუმები დაიგეგმოს მექანისტურად, მრავალ საკითხთა ჩამონათვალზე აქცენტით, რესურსების და მიზნების შეუსაბამობით. საფრთხეა, ფუნქციური უნარების განვითარებაზე ნაკლები მუშაობა.
	2.2: უზრუნველყოფილია შუალედური მიზნების მიღწევა შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობით.	• სასწავლო პროცესში მუშავდება მყარი, ფუნქციური და დინამიკური ცოდნა; • მოსწავლის შეუძლია სხვადასხვა მაგალითებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებზე მსჯელობა; • სასწავლო პროცესი ითვალისწინებს აქტიურ სწავლას, სწავლის სტრატეგიების დაუფლებას.	საშუალო რისკ ფაქტორი - 2 ქულა: საფრთხე ფრონტალური/სალექციო მეთოდების სიხშირე, რაც ვერ უზრუნველყოფს შუალედური მიზნების მიღწევას, ვინაიდან შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობა გულისხმობს,

		• სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პოზიტიურ სასწავლო გარემოში;	ინტერაქციას და მოსწავლის მეტ ჩართვას. ასევე საფრთხეა, რომ მეტი აქცენტები გაკეთდება პროდუქტზე და ნაკლები პროცესზე.
	2.3: უზრუნველყოფილია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, შეფასების კრიტერიუმების, მოსწავლეთა შედეგების მონაცემების შეგროვების/ანალიზის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული არგუმენტირებული გადაწყვეტილებების მიღების გზით.	• სკოლა ახორციელებს მოსწავლის შედეგების, სწავლის პროცესის დინამიკის ანალიზს მოსწავლეთა შეფასებების და საგნობრივი კურიკულუმების რეფლექსიის საშუალებით; • სკოლა მოსწვალის დინამიკას აფასებს თანმიმდევრულად დავალებიდან დავალებამდე;	საშუალო რისკ ფაქტორი - 2 ქულა: საფრთხეა, რომ მასწავლებლები წინასწარ არ გააცნობენ მოსწავლეს შეფასების რუბრიკას, შეფასების კრიტერიუმები არ იქნება ცნებების გააზრებაზე ორიენტირებული.
	2.4: მოსწავლეთა შედეგების ანალიზის მათი საჭიროებების, მზაობის და ინტერესების გათვალისწინებით შემუშავებული და დანერგილია გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებული ახალი სასწავლო პროგრამა/პროგრამები.	• პროგრამა ეფუძნება მოსწავლეთა საჭიროებებს, მზაობას და ინტერესებს.	საშუალო რისკ ფაქტორი - 2 ქულა: საფრთხეა, რომ ვერ განხორციელდეს სიღრმისეული კვლევა, შემდგომი ადაპტირება მოსწავლეების მზაობაზე.
№3: მოსწავლეთა სოციალიზაცია და ინდივიდუალიზმის, დამოუკიდებლობის ხელშეწყობა (სუბიექტივიზაცია).	**3.1:** დამრიგებლის საქმიანობა ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას და დამოუკიდებლობას.	• დამრიგებლის საქმიანობა მიემართება სკოლის მისიას / ხედვას და მასში ასახულია კლასის პრიორიტეტები, გამოწვევები და ინტერესები; • დამრიგებელი მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.	საშუალო რისკ ფაქტორი - 2 ქულა: ზედაპირული კველევა კლასის გამოწვევების, სადამრიგებლო საქმიანობის მექანისტურ აქტივობებზე დაფუძნება.

	3.2: სკოლის ფსიქოლოგის საქმიანობა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებაში „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების'' კუთხით ცნობიერების ამაღლებას.	• ფსიქოლოგს აქვს მოსწავლეთა გამოწვევებისა და განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები; • ფსიქოლოგს საქმიანობა მიემართება ბავშვთა და მოზარდთა განვითარების პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას; • განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; • მოსწავლე ფსიქოლოგისაგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას.	დაბალი რისკ ფაქტორი - 1 ქულა: მშობლების ნაკლები მიმღებლობა.
	3.3: სკოლის თვითმმართველობის ფუნქციონირება ახალისებს მოსწავლეთა ავტონომიურობას.	• სკოლის თვითმმართველობა წარმოადგენს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ სივრცეს; • თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი/განხორციელებული აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა კორპუსის ინტერესს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს; • თვითმმართველობა ხელს უწყობს მოსწავლის სასწავლო გარემოში ინტეგრაციას.	საშუალო რისკ ფაქტორი - 2 ქულა: საფრთხეა რომ თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართული იქნება მხოლოდ მოსწავლეების მცირე ნაწილი (აქტიური, სოციალური მოსწავლეები).
	3.4: ექსტრაკურიკულური აქტივობები (პროექტები, ღონისძიებები....) უზრუნველყოფს მოსწავლეებში ფუნქციური უნარების	• ექსტრაკურიკულური აქტივობები მიემართება სკოლის მისიას/ხედვას და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს, შესაძლებლობებს.	საშუალო რისკ ფაქტორი - 2 ქულა: საფრთხეა, რომ აქტივობები/პროექტები მოერგოს მხოლოდ ნაწილ მოსწავლეებს და არ მოიცვას

	განვითარებას, მათ სოციალიზაციას და განვითარებას.	• ექსტრაკურიკულური აქტივობები დაგეგმილია მოსწავლეთა ჩართულობით.	სრულად მოსწავლეთა კორპუსი. ასევე შესაძლებელია აქტივობა/პროექტი დაიგეგმოს მოსწავლეთა ჩართულობის გარეშე, რაც გამოიწვევს იმას რომ არ იქნება პროექტი/აქტივობა მორგებული მოსწავლეთა ინტერსებს, საჭიროებებს, მზაობას.